თამაზ გაბისონია

ეთნომუსიკოლოგიური ექსპედიცია დედოფლისწყაროში

2013 წლის ზაფხულში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველად, ეთნომუსიკოლოგიურ საველე-შემკრებლობით მუშაობას ჩაეყარა საფუძველი. 19-28 ივლისს მუსიკის ცენტრის თანამშრომლებმა, ასოცირებულმა პროფესორებმა ნინო კალანდაძე-მახარაძემ და თამაზ გაბისონიამ დედოფლისწყაროს 12 დასახლებულ პუნქტში – ხორნაბუჯში, ჭოეთში, ზემო მაჩხაანში, არბოშიკში, მირზაანში, ოზაანში, ზემო ქედში, არხილოსკალოში, ქვემო ქედში, სამთაწყაროში, თავწყაროში და თავად დედოფლისწყაროში – 50 ეთნოფორისგან 200-მდე ტრადიციული ინტონირების ნიმუში ჩავიწერეთ.

დედოფლისწყაროს რაიონის შერჩევა შემკრებლობითი საქმიანობისათვის რამდენიმე ფაქტორმა გადაგვაწყვეტინა: ამ მხარეს ადრე მუსიკალურ-ფოლკლორისტული ასპექტით ნაკლები ყურადღება ექცეოდა; ამ დროს კი, ეს რაიონი საინტერესოა არა მარტო ქართული ტრადიციული მუსიკის მხრივ, არამედ – აქ მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ტრადიციული კულტურის მხრივაც. ამასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს დედოფლისწყაროს რაიონში აქვს სამეცნიერო ბაზა-სასტუმრო, რამაც, ასევე ჩვენი უნივერსიტეტის ავტომომსახურების გათვალისწინებით (მძღოლი ბაკურ ღვინიაშვილი), მკვლევრებს მუშაობისთვის საუცხოო პირობები შეგვიქმნა. ნიმუშებს ვაფიქსირებდით როგორც აუდიოჩამწერით, ასევე – ვიდეო- და ფოტოკამერებით.

მუშაობაში უშურველად დაგვეხმარენ დედოფლისწყაროს კულტურის განყოფილების გამგე ნინო ბახუტაშვილი და, განსაკუთრებით, ამავე დარგის თანამშრომელი ნინო ნიკვაშვილი, რომელიც, ფაქტობრივად ჩვენი ექსპედიციის მეოთხე წევრად მოგვევლინა.

მიუხედავად ქართული ტრადიციული მუსიკალური ფოლკლორის დღევანდელი მძიმე მდგომარეობისა, რის შესახებაც ამ ღონისძიებამდეც ვუწყოდით, ეს ექსპედიცია, მოპოვებული მასალის მიხედვით აშკარად წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. ჩავიწერეთ როგორც ერთ- და ორხმიანი, ასევე სამხმიანი სიმღერების ორიგინალური ვა-

რიანტები, ჟანრობრივად მრავალფეროვანი რეპერტუარი, მათ შორის – პლასტიკის თანხლებითაც; ასევე დავაფიქსირეთ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და მატერიალური არტეფაქტები.

განსხვავებით ქართულ მუსიკალურ ფოლკლორისტიკაში ადრე არცთუ იშვიათად არსებული მხოლოდ „მხატვრულად ღირებული“ ნიმუშების აღბეჭდვის ტენდენციისაგან, ვეცადეთ, დაგვეფიქსირებინა ნებისმიერი ასაკის ეთნოფორთა ყოველგვარი ცნობა და ინტონირება, როგორც ტრადიციულ ჟანრებში, ასევე – პოსტფოლკლორის სფეროში.

კახური რეპერტუარის მხრივ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა: დედოფლისწყაროელთა – გურამ ჯანაშვილის „ბაიათები“, ნინო ხიხონიშილის „გონჯა“; ნანა უძილაურის სიმღერები, ვასილ მაჭარაშვილის სუფრული სიმღერები (მასთან დაუვიწყარი „მუსიკალური საღამო“ გავატარეთ – სუფრაზე); ზემო მაჩხაანელი ლევან ხუნაშვილის ბალადები, ნაირა ნატროშვილის ლირიკული სიმღერები და გივი უზუნაშვილის ბაიათები; არბოშიკელი მიხეილ სეფიაშვილის სიმღერები; მირზაანელი ვალიკო ალუღიშვილის და გიზო გორაშვილის სიმღერები (განსაკუთრებით კი ბატონი გიზოს მიერ გადმოცემული „ეკლესიის იავნანა“); ოზაანელი მანანა ჯაფოშვილის და ნეჟნა ყაჭაშვილის სიმღერები და ბაიათები, არხილოსკალოს ქალთა ანსამბლის სიმღერები.

იმის გამო, რომ დედოფლისწყაროს რაიონში რამდენიმე სოფელია, სადაც სხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებული ქართველები ცხოვრებენ, მოვიპოვეთ სხვა ქართული დიალექტური ნიმუშებიც. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დაგვიტოვა: ხევსურებისგან – დედოფლისწყაროში ნინო გაბურისა და მარიამ ოჩიაურის „ნანამ“, „ტირილმა“ და „შემღერნებამ“, ზემო ქედში – მაყვალა წიკლაურის „ჯვარის წინასამ“, არხილოსკალოში – თათო წიკლაურის ბალადებმა, ფშავლებისგან: ქვემო ქედში – ეთერი და ლელა ხუცურაულის, ხოლო თავწყაროში – აბრაამ უძილაურისა და მარო ქავთარაძეს – „შემღერნებებმა“ და „მთიბლურმა“, აჭარლების – ნოდარ შაინიძის „ჩელა-ჩელამ“, დასაკრავებმა (ფანდური, გარმონი, დოლი) და ვენერა სურმანიძის სიმღერებმა, ინგილო ლუბა ნადირაშვილის „დატირებამ“ სამთაწყაროდან.

გარდა მუსიკალური მასალისა, ყურადსაღები იყო თხრობა შემდეგი მოვლენებისა და რიტუალების შესახებ: დიდება-ფერხისა, ხატის სიღერები, ელიაობა, ალილო, სამაია, მუშათ წუხრაი, გონჯა, კოტიკოტი, საქორწილო, გლოვის, სახადის, აკვნის რიტუალები, ქალების შეკრებები, შელოცვები, სადღეგრძელოები, თამაშობები.

მნიშვნელოვანი შედეგი მოგვცა არაქართული მოსახლეობის მონახულებამაც. ჩავიწერეთ რუსული „ფსალმები“, აკვნის სიმღერები (მა-

რია სტრახოვა) და საეკლესიო „კრიტელის კანონი“ (ანისია ვასილენკო, შვილი ნინათი), სომხური გლოვის სიმღერები, „ქოჩარი“ (ნატალია გურეგიან-მარჯოსიანი), ბოშური სატრფიალო (ვერა ვასილიევა).

გვქონდა შეხვედრა დედოფლისწყაროს ხალხური სიმღერის ანსამბლ „ხორნაბუჯთან“ (ხელმძღვანელი – გიორგი ცინცაძე), რომლის ზოგიერთმა ასაკოვანმა წევრმა საინტერესო ცნობები და მოტივები ჩაგვაწერინა. დავესწარით ამ ანსამბლის რეპეტიციასაც, სადაც შესრულების ფორმისა და მანერის, ასევე რეპერტუარის ვერსიების შესახებ მომღერლებს ჩვენი შენიშვნებიც გავუზიარეთ. უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია დედოფლისწყაროს ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის არქივიც თითქმის მთლიანად დავაფიქსირეთ. ჩვენთვის საინტერესო იყო ცნობები საქორწილო ვიდეოგადამღებებისგან – გია ყაჭიშვილისგან და მამუკა უთრუთაშვილისგან.

ექსპედიციისაგან შემდეგი ზოგადი შთაბეჭდილება დაგვრჩა: დედოფლისწყაროში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა უმეტეს რეგიონში, ტრადიციული მუსიკალური ფოლკლორი თითქმის მთლიანად ჩანაცვლებულია საბჭოურ ეპოქაში შექმნილი ფსევდოფოლკლორული ნიმუშებით, ძირითადად საფანდურო სიმღერებით; ფანდურიც უმეტესად არახალხურია, ქრომატიული („კლასიკური“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი საავტორო-გახალხურებელი სიმღერები თავიანთი მხატვრული ღირსებებით აშკარად აღემეტება დღევანდელ შლაგერებს – ფსევდოთუშურ საფანდურო საესტრადო სიმღერებს. „საბჭოურ“ და „თანამედროვე“ სტილში რამდენიმე საავტორო, ჩვენთვის აქამდე უცნობი სიმღერაც ჩავიწერეთ. რაიონში საკმაოდ აქტიურად ფიქსირდება შაირის ჟანრი. ამასთან ერთად, საკმაოდ მოულოდნელი იყო ჩვენთვის აღმოსავლური ბაიათების სტილის სიმღერათა პოპულარობა. მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც „იავნანას“ მელოდიას ვისმენდით.

ჩვენ მომავალშიც ვაპირებთ დედოფლისწყაროში მსგავსი შემკრებლობითი საქმიანობის წარმართვას, რომელიც, იმედია, ტრადიციული მუსიკისა და ზოგადად ფოლკლორის ეთნოსოციალურ ასპექტში დინამიკაზე დაკვირვების საშუალებას მოგვცემს. ამჟამად კი მიმდინარეობს ექსპედიციის მასალათა სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია.

INFORMATION

Guram Kipiani
Head of the Expedition

Madona Mshvildadze
Deputy Head of the Expedition

Report of an Archeological Exploration in Zeda Tsikhesoluri Village of Vani Municipality

with 16 drawings, 59 pictures and 5 annexes

The Paleo-Urban Laboratory of Ilia State University conducted an archeological exploration in Zeda Tsikhesoluri village of Vani Municipality from May 5 to July 5, 2014.

Preparations for the excavations had started 3 years before and included a series of field surveys. Detailed survey results were reported in Ilia State University project documents submitted for archeological license.

During the preparatory period, the archeological team also gave several presentations on a respective theoretical survey and set forth evidence that modern Tsikhisoluri overlies an inner Colchian town Surium mentioned in ancient historical records (Pliny, Claudius Ptolemy).

Tamaz Gabisonia

Ethnomusicological Expedition to Dedoplistskaro

In summer 2013, Ilia State University organized its first ethnomusicological expedition involving fieldwork and data collection. On July 28-29, the staff of the university music centre recorded up to 200 samples of traditional intonement from 50 ethnophores in 12 residential centres of Dedoplistskaro region: Khrnabuji, Cheti, Zemo Machkhaani, Arboshiki, Mirzaani, Ozaani, Zemo Kedi, Arkhiloskalo, Kvemo Kedi, Samtatskaro, Tavtskaro and Dedoplistskaro itself.

Dedoplistskaro region was chosen as a study area for several reasons: it has preserved not only Georgian musical traditions, but also traditions of various ethnic cultures; however, the region has escaped close attention from musicologists and folklorists.